საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

განმარტებითი ბარათი

ა.ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი
საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელდა ცვლილებები, რითაც დაზუსტდა სახლხო დამცველის უფლებამოსილებები, ასევე შემოღებულიქნა სახალხო დამცველის ძოადგილეების სტატუსი და სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირის (სახლხო დამცველის რწმუნებულის) ინსტიტუტი, რომლებიც სარგებლობს სახალხო დამცველის უფლებებითა და დაცვის იმ გარანტიებით, რითაც სარგებლობთ თავად სახალხო დამცველი. სახალხო დამცველს არ გააჩნია რეგიონალური სააგენტოები , არამედ რეგიონებში მოქმედებენ მისი რწმუნებით აღჭურვილი პირები (რწმუნებულები).

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს თავად სახალხო დამცველი. საჯარო სამსახურის შესახებ კანონში მითითებული დებულება, რომ სახალხო დამცველის საქმიანობის წესს განსაზღვრავს პრეზიდენტის ბრძანებულება, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ზემოთაღნიშნული დებულებით.

ა.ბ. კანონპროექტის მიღების მიზანი
კანონპროექტის მიზანია ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილების შეტანა. კერძოდ: საჯარო სამსახურის შესახებ კანონში უნდა იქნას შეტანილი ცვლილება იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველი თავის უფლებამოსილების განხორციელებას ანდობს სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირს (რწმუნებულს). კანონში საჯარო სამსახურის შესახებ მითითებულია, რომ სახალხო დამცველს გააჩნია სააგენტოები, რაც უნდა ამოღებულიქნას. ასევე წარდგენილი ცვლილებებით სწორდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის წესს განსაზღვრავს პრეზიდენტის ბრძანებულება. წარმოდგენილი ცვლილებით სახალხო დამცველის საქმიანობის წესს განსაზღვრავს სახალხო დამცველის მიერვე დამტკიცებული დებულება.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება აღნიშნული კანონის /„საჯარო სამსახურის შესახებ/იმ ცვლილებების განხორციელება, რომლიც თანახმადაც სახალხო დამცველი თავის უფლებამოსილების განხორციელებას რეგიონებში ანდობს სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირს (რწმუნებულს). კანონში საჯარო სამსახურის შესახებ მითითებულია, რომ სახალხო დამცველს გააჩნია სააგენტოები, რაც უნდა ამოღებულიქნას. ასევე წარდგენილი ცვლილებებით სწორდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის წესს განსაზღვრავს პრეზიდენტის ბრძანებულება. ცვლილებით შემოდის ჩანაწერი, რომ სახალხო დამცველის საქმიანობის წესს განსაზღვრავს სახალხო დამცველის მიერვე დამტკიცებული დებულება.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა/ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს

ბ.ბ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის ზრდას

ბ.გ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას

ბ.ე/ კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, ვისზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული თანამდებობის პირთა ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ვ/კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი /პრინციპი/;
კანონპროექტი არ ითვალისწინებს დადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ/ კანონპროექტის მიმართება საერთ შორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა/ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით

გ.ბ/ კანოპნპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ/ კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა/ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშაავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა

დ.ბ/კანონპროექტის შმუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ/ასეთის არსებობის შემთხვეეაში

დ.გ/ კანონპოექტის ავტორი
ნაზი არონია

დ.დ/ კანონპროექტის ინიციატორი
ნაზი არონია